30 OCTOMBRIE

RUGACIUNEA

SF.MUCENIC

IOTAM ZEDGENIDZE

DE LA PARAVANI-GEORGIA

სავედრებელი ლოცვა

ჲ, მოწამებრივითა სისხლითა განშუენებულო მჴედარო ბრწყინვალეო და ჭირთა შინა ურცხვენელო ჴელის აღმპყრობელო, მვედრებელთა შენთა მსწრაფლ-შემწეო და ყოველთა ქართველთა ზღუდეო და საფარველო, ღმრთივსანატრელო იოთამ!

ჲ, ჴრმლითა უწყალოდ დაგმერილო და ნაცულად მეფისა ვნებულო, ღუაწლისა-მძლეო დიდო მხედარო იოთამ! მოგჴსენე წინაშე ღმრთისა და ელვარებითა სიწმიდისა შენისადთა დაიფარე ქუეყანად ივერიისად წვალებისაგან და სჯულისაგან უცხოდსა, ხოლო ყოველთა მკჴდრთა მისთა მოგუმადლე შენებრ მჴურვალებად სარწმუნოებისად, ძმებრივი სიყუარული მოყუასისად და საღმრთოდ მოშურნეობად მამულისად, და თჴნიერ შებრკოლებისა აღგჴდგინე ძირისაგან დავითისა, ცხებული ღმრთისად, რომელიცა

სარწმუნოებითა მტკიცითა მოჰკრძალავს ყოველთა სამზღუართა საქართველოჲსასა და აღამაღლებს და აღადგენს სიმაღლესა და ძლიერებასა ჩუენსა ქუეყანით დავიწყებისაჲთ, რაჲთა ვიყოთ ერთ სამწყსო და უფალი იყოს მწყემს ჩუენდა.
მრავალშემძლებელითა ძალითა შენითა განაძლიერე უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი მამაჲ ჩვენი ილია, ყოვლადსამღდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი და ყოველნი სამღდელონი და სამონოზნო წესნი, მჴედართმთავარნი და ქალაქმთავარნი, ქრისტესმოყუარე მჴედრობანი, და კეთილისმყოფელნი ჩუენნი, და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტეანენი, მოსახელენი და მვედრებელნი შენნი ადიდე. ევედრე, ყოვლადბრწყინვალეო მარტჳლო, შენგან შეყუარებულსა ტკბილსა იესუს, რაჲთა შეგვინდოს განდგომილებანი, ეკლესიათა ნგრევა-შეგინებანი, ღმრთისმსახურთა მკვლელობანი, ღალატი, შური და უწესობანი, საშოსა შინა ჩვილთა ჩუენთა კვლანი და სხუანიცა შეცოდებანი ჩუენნი.

ჶ, მეფისათჳს თავისა დამდებელო და მამულისა და ერისა შენისა საფრჴისაგან დამფარველო, ქრისტეს ახოვანო მხედარო იოთამ! კეთილმსახურებრითა კადნიერებითა იმეოხენ წინაშე ღმრთისა, რაჲთა მოჰმადლოს ეკლესიათა დიდებაჲ, სამღდელოთა პატიოსნებაჲ, მთავართა კეთილად მწყსაჲ ერისაჲ, მჴედართა მამაცობაჲ, ერისაგანთა უცოდველობაჲ და დედათა კრძალულებაჲ, ხოლო ჩუენ აღგვიდგინოს ღმრთისმოსაობაჲ, სიმართლისმოყუარებაჲ, მრავალშვილიანობაჲ, და ქვრივ-ობოლთა შეწყალებაჲ. მოგვანიჭოს სიწმიდით ცხოვრებისა სიყუარული, უჯეროთა საქმეთა სიძულვილი და გულისა შემუსრვილებაჲ, წმიდათა თანა გჳრგჳნოსნებაჲ და ცათა სასუფეველისა დამკჳდრებაჲ, რაჲთა ჩუენცა შენ თანა ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.